



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მეტრეველი ალექსანდრე ირაკლის ძე

მეტრეველი ალექსანდრე ირაკლის ძე (დ. 2. XI. 1944, თბილისი), სპორტსმენი (ჩოგბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1966). სსრკ-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელი. სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1965). უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი ერთეულ (1973), ორჯერ შერეული წყვილების თანრიგში ო. მოროზოვასთან ერთად (1968, 1970); უიმბლდონის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალისტი (1962); მოსკოვის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული (1963); დიდი მუზარადის ტურნირებიდან – ავსტრალიისა (1972) და საფრანგეთის (1972) ღია პირველობის ნახევარფინალისტი; აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალისტი (1974); ჯამში ATP-ის 5 ტურნირის გამარჯვებული ერთეულთა თანრიგში, სსრკ 29-გზის ჩემპიონი ერთეულებში (1966–67, 1969–76, 1978, 1980), წყვილებში (1967–68, 1970–76; 1980) და შერეულ წყვილებში (1970–73, 1975–76). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის აბსოლ. ჩემპიონი (1975), სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებში ერთეულთა თანრიგში (1961). კაცებში ერთადერთი საბჭ. ჩოგბურთელი, რ-მაც დიდი მუზარადის ტურნირის ფინალში ითამაშა და მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში მოხვდა (მსოფლიოს მე-9 ჩოგანი, 1974). 18 წლის განმავლობაში შედიოდა სსრკ საუკეთესო მამაკაც ჩოგბურთელთა ათეულში, აქედან 12-ჯერ დასახელდა პირველ ნომრად (1966–67, 1969–78). რეგულარულად მონაწილეობდა დევისის თასზე (105 მატჩი).

დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1968). იყო საქართვე. ნაკრების მწვრთნელი (1981–82), სსრკ ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართვე. სპორტკომიტეტის თავ-რის მოადგილე (1982–87), საქართვე. სატელეგრაფო სააგენტოს მიმომხილველი (1988–92). მოღვაწეობა გააგრძელა მოსკოვში სპორტულ კომენტატორად (პრემია საუკეთესო რეპორტაჟისათვის, 2020). 1966 დასახელდა საქართვე. საუკეთესო სპორტსმენად.

მიღებული აქვს ქართ. სპორტის რაინდის წოდება (2014), დევისის თასის სპეც. მედალი (2015; Davis Cup Commitment Award) და სხვა სახელმწ. ჯილდოები. არის თბილ. (2017) და ავსტრალიის საპატიო მოქალაქე.

---